



საქართველოს პარლამენტი

## საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი

2-7807/19  
25-04-2019

საორგანიზაციო დეპარტამენტს

მოგახსენებთ, რომ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა მოისმინა საქართველოს პარლამენტის, მოლდოვას რესპუბლიკის პარლამენტისა და უკრაინის ვერხოვნა რადას საპარლამენტთაშორისო ასამბლეაში, საქართველოს მუდმივმოქმედი დელეგაციის 2018 წლის ანგარიში.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილ ანგარიშს.

კომიტეტის თავმჯდომარე  
სოფიო ქაცარავა



საქართველოს პარლამენტის  
თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე

2-2512/19  
19-02-2019

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს

გიგზავნით საქარლამენტაშორისო კავშირში (IPU) და საქართველოს პარლამენტის, მოლდოვას რესპუბლიკის პარლამენტისა და უკრაინის ვერხოვნა რადას საქარლამენტაშორისო ასამბლეაში, საქართველოს მუდმივმოქმედი დელეგაციების 2018 წლის ანგარიშებს.

დანართი: 6 ფურცელი

პატივისცემით,

პარლამენტის თავმჯდომარე  
ირაკლი კობახიძე

საქართველოს პარლამენტის, მოლდოვას რესპუბლიკის პარლამენტისა და უკრაინის ვერხოვნა რადას საპარლამენტათაშორისო ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის

**წლიური ანგარიში**

პერიოდი: 2018 წლის იანვარი - 2019 წლის იანვარი

**2018 წლის 5-6 ოქტომბერი**

თბილისი; საქართველოს პარლამენტის, მოლდოვას რესპუბლიკის პარლამენტისა და უკრაინის ვერხოვნა რადას საპარლამენტათაშორისო ასამბლეის საინაუგურაციო სესია;

**ძირითადი აქტივობები:**

- საინაუგურაციო სესია მაღალი წარმომადგენლობის იყო. მოლდოვას და უკრაინის დელეგაციებს პარლამენტის თავმჯდომარეები, ანდრიან კანდუ და ანდრეი პარუბი ხელმძღვანელობდნენ, დელეგაციების შემადგენლობაში შედიოდა ორივე ქვეყნის საგარეო კომიტეტების თავმჯდომარე. სესიაში, ასევე, ბალტიის საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი, ვალერიუს სიმულივი, ევროპარლამენტარები ანა გომესი და მაიკლ გელერი და ადგილობრივი დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ;
- საინაუგურაციო სესიის ფარგლებში, სამი ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარემ ხელი მოაწერა ასამბლეის წესდებას. „მოხარულები ვართ, რომ ერთობლივი საპარლამენტო ასამბლეის პირველი სხდომა სწორედ საქართველოში იმართება. ასამბლეის მიზანია საერთაშორისო არენაზე სხვადასხვა მრავალმხრივ საპარლამენტო ფორმატში ჩვენი ქვეყნების ინტერესების ერთობლივად დაცვა და ჩვენი პოზიციების უკეთ კოორდინირება. ჩვენ ვცდილობთ, რომ ერთიანი ძალისხმევით მივაღწიოთ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების, ევროკავშირის წევრობის პერსპექტივად გარდაქმნას“-განაცხადა ირაკლი კობახიძემ თავის გამოსვლაში;
- სესიის განმავლობაში სამივე ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარის მიერ ხაზი გაესვა ასამბლეის სამხრეთი თანამშრომლობის ახალი ფორმატის პრიორიტეტებს და აღინიშნა, რომ დასავლელი პარტნიორების ჩართვა პროცესში იქნება მნიშვნელოვანი. შეთანხმდნენ, რომ ევროინტეგრაცია და ქვეყნების უსაფრთხოების საკითხები იქნება ის 2 ძირითადი მიმართულება, რომელზეც ასამბლეა სამომავლოდ გააგრძელებს მუშაობას. „სამივე ქვეყანას გააჩნია მიღწევები დემოკრატიული რეფორმების გატარების კუთხით, რომლის ერთმანეთში გაზიარებაც უნდა მოხდეს“ - განაცხადა ადრიან კანდუმ. სესიაზე განისაზღვრა სამომავლოდ შიდა სამუშაო ფორმატების ფორმირების საკითხი და მნიშვნელობა. უკრაინის პარლამენტის თავმჯდომარის, ანდრეი პარუბის ინიციატივით, შესაძლოა ჩამოყალიბდეს 2 სამუშაო კომიტეტი, სადაც აღნიშნულ პრიორიტეტებზე გაგრძელდება მუშაობა;
- ღონისძიების ფარგლებში გაიმართა პანელის დისკუსია სხვადასხვა აქტუალურ თემებზე, მათ შორის შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებისა და ყალბ ამბებთან და ანტი-დასავლურ პროპაგანდასთან ბრძოლის შესახებ. დაგეგმილია ასამბლეის ვებ-გვერდის შექმნა;



- მომავალში შესაძლოა მომზადდეს სამი ქვეყნის ერთობლივი დეტალური ანგარიში იმ მიღწეული შედეგებისა და მიმდინარე რეფორმების შესახებ, რომელიც მნიშვნელოვანია ევროინტეგრაციის პროცესისთვის. შესაძლოა დაიგეგმოს სამი ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარის ერთობლივი ვიზიტები.

**სხვა აქტივობები:**

- სესიის ფარგლებში ირაკლი კობახიძემ ორმხრივი შეხვედრა გამართა ევროპარლამენტარებთან, ანა გომესთან და მაიკლ გელერთან. შეხვედრაზე საქართველოს პარლამენტსა და ევროპარლამენტს შორის არსებული ურთიერთობისა და თანამშრომლობის შესახებ ისაუბრეს. საუბარი შეეხო პროექტს, რომელიც საქართველოს პარლამენტის გაძლიერების მხარდაჭერას ითვალისწინებს. ევროპარლამენტარებმა სურვილი გამოთქვეს, რომ ეს მხარდაჭერა კიდევ უფრო გააძლიერონ, რადგან ამ კუთხით მუშაობამ საკმაოდ კარგი შედეგები მოიტანა.

2018 წლის დეკემბერში, ასამბლეამ მიიღო პირველი რეზოლუცია რუსეთის ფედერაციის მიერ ქერჩის სრუტეში უკრაინის წინააღმდეგ აგრესიული ქმედებების დაგმობის შესახებ, რომელშიც, სამი ქვეყნის პარლამენტი, მყარი გადაწყვეტილების საფუძველზე, ადასტურებს უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი ურყევ მხარდაჭერას, მკაცრად გმობს რუსეთის ფედერაციის აგრესიულ სამხედრო ქმედებებს ქერჩის სრუტეში და მოუწოდებს მას, შეწყვიტოს აგრესიული და პროვოკაციული ქმედებები ოკუპირებულ და ანექსირებულ ტერიტორიებზე. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელმოწერილი შეთანხმებების, საერთაშორისო ხელშეკრულებების, საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების საფუძველზე, დაუყოვნებლივ დაიწყოს უკანონოდ ოკუპირებული და ანექსირებული ტერიტორიების დე-ოკუპაცია, შეწყვიტოს მეზობელი ქვეყნების საშინაო საქმეების დესტაბილიზაცია და პატივი სცეს ამ ქვეყნების ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. მოუწოდებს საერთაშორისო თანამეგობრობას მიიღოს ზომები რუსეთის ფედერაციის მთავრობის უკანონო ქმედებებთან დაკავშირებით და მოუწოდებს ევროკავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, როგორც სტრატეგიულ პარტნიორებს, გამოხატონ პოლიტიკური მხარდაჭერა აღმოსავლეთ ევროპის დემოკრატიული სახელმწიფოებისადმი და მათი სუვერენული არჩევანისადმი, გახდნენ დასავლური ქვეყნების გაერთიანების წევრები;

ასამბლეამ ასევე, 2018 წლის დეკემბერში, მიიღო სამი ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარის ერთობლივი დეკლარაცია საქართველოში, მოლდოვას რესპუბლიკასა და უკრაინაში ჰიბრიდული საფრთხეების დასაძლევად თანამშრომლობის შესახებ, სადაც სამივე ქვეყნის პარლამენტი გამოხატავს ნებას, გაწევრიანდნენ როგორც მონაწილეები/დამკვირვებლები შესაბამის დასავლურ ინსტიტუტებში, რომლებიც შექმნილია ჰიბრიდული საფრთხეების დასაძლევად და თანხმდებიან, ეროვნულ კანონმდებლობაზე დაფუძნებით, მიიღონ გადაწყვეტილებები ანტი-ჰიბრიდული ორგანოების შექმნის შესახებ და დანიშნონ ეროვნული კოორდინატორები, რომლებიც მიიღებენ, გაანალიზებენ და გააზიარებენ ინფორმაციას, კონკრეტულად ჰიბრიდული საფრთხეების ინდიკატორებისა და შეტყობინებების თაობაზე.

ირაკლი ბროკიშვილი  
დელეგაციის მდივანი

